

ნახ. ჯ. ლოლუასი

რვა მარტი დაწესებულებაში, სადაც ერთი ქალია.

№ 5 (1231) თბილისი, მარტი 1966

# ნიანგი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.



ნახ. ნ. მალაზონიასი

უცოლო კაცის რვა მარტი.

## ნაკვესი

● არაყმა თქვა: ჩემი ჯაჭვით ხარი დავაბი, ზოგიერთი კაცი კი — ვერაო.

● ფერმის გამგის შიშით წიწილა კვერცხიდან ვერ გამოდიოდა.

● გაქნილი კაცი ჯერ ლატარიის ბილეთით მოგებული „ვოლგის“ პატრონის ვინაობას იგებდა, მერე კი — „ვოლგას“.

● ბრაკონიერებმა ქლორით დახოცილ თევზებზე თქვეს: არც ესენი არიან წმინდა წყლისო.

● რევიზორის დანახვაზე კოლმეურნეობის ბატკანი სირცხვილისაგან იწვოდა.

● სპეკულანტი დღე ფულში ცურავდა, ღამე — სიმწრის ოფლში.

● ქმარს გაბრაზებული ცოლის სიტყვები გულში ესობოდა, ტუფლის ქუსლები კი — თავში.

● ისტორიულ ძეგლებს ჰკითხეს: როგორ გივლიანო და — გარს გვივლიანო.

● მხატვარი თავს ნიჭიერად ასაღებდა, სურათებს კი — ვერა.

ზ. კაციაშვილი.

## ეჭვიანი მელა

„ტყის გაზეთში“ მგლის ნარკვევი როცა ნახა მელამ,
ცხოველები შეჰყარა და წაუკითხა ყველას.
ულვაშებში ჩაიცინა, თქვა: „ის საძაგელი
ხედავთ, როგორ გათავხედდა? ნარკვევებს წერს... მგელი!“
აბა, რისი დამწერია, თქვენც ხომ იცით, კარგად?
„ტყის გაზეთის“ ლიტმუშაკმა დაუწერა, ალბათ!
თანაც როგორ პოეტურად შეუმკია ფიქვი,
პირდაპირ მშურს! მგელს სადა აქვს პოეტური ნიჭი!
ნათელია: მგელს ის ლომი რედაქტორი წყალობს,
ჩემს ლექსებზე პირში მითხრა: მთლად უნიჭი ხარო!
მგელს კი ბეჭდავს! ცხოველებო, ხომ მოდიხართ აზრზე,
რომ ჰონორარს მგელი იგი ლომ რედაქტორს აძლევს!“
ეს ამბავი რომ გაიგო, მგელს ეწყინა მეტად,
თქვა: „მელია, ეს უვიცი, ხედავ, რამდენს ბედავს?
დაქილიკობს, ჭორებს მიყრის, ახრჩობს ბოლმა-შური,
ამისთვის მას „ტყის გაზეთში“ აეწევა ყური!“

ნ. გადელია.



ნ.ჯ. ნ. მალაზონიასი

— მოდი, არ დავწერ ავტობიოგრაფიაში სამჯერ რომ ვარ ნასამართლევი!

— ნუ დაწერ, მაგრამ ვინ დაგიჯერებს!



ნახ. ვ. ჭუმბურიძისა

— ბიჭია?

— კია ბიჭი, მაგრამ ერთი ბიჭი უშველის ჩემს გაჭირვებას?

# ნიკოლა კინჩევი

საქართველოში სტუმრად იმყოფება ნიჭიერი ბულგარელი ახალგაზრდა პოეტი ნიკოლა კინჩევი. იგი წერს სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებსაც.
ქვემოთ ვაქვეყნებთ მის ერთ სატირულ ლექსს.

## მანიაკის აღსარება

ეს მე ვარ, გესმით? მე — ერთადერთი,
თქვენ სხვა ვინმეში ხომ არ გეშლებით?!
და რაკი მე ვარ, არსებობს ღმერთიც,
რომელსაც ჩემში უდგას ფესვები!

თქვენ დაყიალებთ ქვეყნად უმიზნოდ,
თქვენს არსებობას არცა აქვს აზრი;
ჩემს გარდა, თქვენ ხართ ყველა უნიჭო,
ნიჭი რომ გქონდეთ, დამახრჩობს ბრაზი.

მე გენია ვარ! დიდებას ჩემსას
ღმერთი შენატრის, დრო ემონება;
ანთებს ვარსკვლავებს, ანათებს მზესაც,
ყოვლისმძლეველი ჩემი გონება!

მიწა ხომ ჩემი ბრძანებით ბრუნავს, —
თქვენ რომ დაღოღავთ მასზე მწერებად;
სულს ჩემით ითქვამთ, ცა ჩემით გხურავთ,
მე რომ არ ვიყო, რა გეშველებათ?!

დაე, თუნდ წარღვნა მოვარდეს დღესვე,
მიწა აივსოს ჩონჩხთა რიგებით.
მოსპობას ჩემსას წარღვნა თუ შესძლებს,
ჩემს შემდეგ, მჯერა, კვლავ მე ვიქნები!

წყალში, რომელიც დაფარავს მიწას
უსასრულობის შავი ფარდებით,
მე გავაგრძელებ დიდებით წინსვლას,
ძეგლად მე, ერთი, აღვიმართები!

ნახ. მ. აბაშიძისა



— რომ არ ჩამოსულიყავი, შიმშილით მოვკვდებოდი, ერთი სუფთა თეფში აღარ დარჩა!



— ამ კაცს აშკარად ეტყობა ცოლის ხელი.

ნახ. გ. ფირცხალავასი



შესვენება მეტროში

# 8 მარტის ღამე

ადრე დილით, როგორც კი გვირგვინოსანმა ჰელიოსმა ოქროთი დაფერილი პირველი სხივები გაისროლა, მეხთამტეხი, უძლეველი ზევსი გადმოდგა ოლიმპოს მთაზე და ღიმილით შეეგება ულამაზესი სქესის წარმომადგენლებს.

— შვილნო ჩემნო! დღევანდელი დღე, 8 მარტი (როგორც დილის გაზეთებში წერია დიდი ასოებით), არის ქალთა საერთაშორისო დღე, მაშასადამე, თქვენი დღე! მე ვფიქრობ, უდავოდ მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ თქვენი წყალობით დღევანდელ დღეს ჩვენ, მამაკაცებიც, ვისვენებთ. სხვა რომ არაფერი, მარტო ამისთვის ხართ საჩუქრების ღირსი. მოხარული ვარ, რომ დღეს ჩემს საბრძანებელში გხედავთ, უფალსა ვფიცავ, გულით მიხარია!..

(მუზები მორიდებით იღიმებიან ზევსის სიტყვებზე: „უფალსა ვფიცავ...“).

— წინ წამოდექ, ურანია, ასტრონომიისა და კოსმონავტიკის მუზავ! შენი მუშაობა ყველაზე ნაყოფიერი იყო უკანასკნელ წლებში. ძალიან გაამართლე ჩემი სამფლობელო, ჩემზე იყოს! ამას წინათ, მთვარიდან შენს მოტანილ ფოტოსურათებს ვათვალიერებდი და, მართალი გითხრა, კმაყოფილი დავრჩი: საბოლოოდ გაიფანტა კიდევ ერთი მითი მთვარის ღვთაებრივ ბუნებაზე. ჩემი წინადადებაა „ახ, მთვარევ, მთვარევ!..“ ახლა ასე იმღერონ: „ეეხ, მთვარევ, მთვარევ!..“ გაჯილდოებ 28-დღიანი საგზურით „არაზინდოზე“, თან აბასთუმნის ობსერვატორიაში შეივლი, გავალებ, უმოკლეს დროში გაგზავნო ადამიანი მთვარეზე და დამიმზადო მარსის ფოტოსურათები.

(ურანია მუხლმოდრეკით იღებს საგზურს).

— ევტერპა, მომხიბლაო გოგონავ! შენი უბანი, ლირიკული პოეზია, ყოველთვის გამოირჩეოდა სინატიფით, დახვეწილობით, და, რაც მთავარია, სიახლით. ამ ბოლო დროს კი ყალთაბანდობას გამჩნევ, დროსტარებას გადაჰყევი. ამ ბედნიერ დღეს ეს რა სათქმელია, მაგრამ, რომ არ გითხრა, არც ეს ივარგებს. როგორ ამბობს რუსთაველი? „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა...“ შე ქალო, ახალი თუ ვერავინ ნახე, ძველებს მაინც მიაკითხე, ანა კალანდაძის მისამართი დაგავიწყდა?

ევტერპა (წყენით): ვითომც, არ იცოდეთ, რა დღეში ვარ. აბა, ჩემი სურვილით სად დავდივარ? იმდენი საპროტექციო ხალხი მყავს. ამასწინათ, თქვენ თვითონ არ გამიშვით, იმ...

ზევსი: ჰო, კარგი, კარგი!.. გადაღლილი ხარ, შვილო ჩემო, თვალებზე გატყობ... საჩუქრად... (უბიდან იღებს პაკეტს) საჩუქრად აი, ეს მომირთმევია. (ყურში უჩურჩულებს) წინდებია, კოჭლი ჰეფესტოს მოქსოვილი, ცოლისთვის მქონდა შენახული. პირობას გაძლევ, მომავალ 8 მარტამდე თვალი არ წაუვა. (ბედნიერი ევტერპა გულში იკრავს საჩუქარს).

— ტალია, ჩემო მხიარულო გოგონა. (მუზებს): მე მგონი, ერთხელ საკმარისად დაისაჯა ჩვენი კომედიის მუზა. (ტალიას): ასე არ არის?

ტალია: დიახ, დიდებულო ზევსო! „ფეხბურთელების“ ოცდაათივე წარმოდგენას ერთგულად ვუყურე.

(მუზები ხითხითებენ).

ზევსი: სამაგიეროდ, ახლა ნაწილობრივ რეაბილიტაციას მიიღებ. მომეწონა რამდენიმე შენი შთაგონებული ნამუშევარი. (წერს ბარათს და უწვდის). მიხვალ „ცეკავშირის“ ბაზაში, იკითხავ... (ყურში უჩურჩულებს) გადასცემ ამ ბარათს და მოგცემენ ტელევიზორ „რუბინ 107“-ს კრედიტით. (მუზები ყაყანებენ. ზევსი აჩუმებს მათ). გარდა ამისა, გაგიფორმებ შემოქმედებით მივლინებას მუსიკალური კომედიის თეატრში. უნდა გაარკვიო ერთი საკითხი: პიესებს მართლა სხვადასხვა ავტორები წერენ, თუ ერთი ავტორი სხვადასხვა ფსევდონიმით. დამიზუსტეთ, რატომ აქვს თითქმის ყველა პიესაში ორ გმირს ერთნაირი სახელი და ამ ნიადაგზე ქმარს ეშლება ცოლი სრულიად უცნობ ქალში. ან: ტყუპი ძმებიდან ერთ-ერთი ენგურჰესის მშენებლობაზე გაემგზავრა და მაყურებელს ვერ გაუგია: ეს წავიდა, თუ მისი ძმა... ან: რატომ მღერიან მაშინ, როცა სატირლადაა საქმე და სხვა მრავალი...

(ტალია ოხრავს. მუზები ზეიმობენ).

— ერატო! წელსაც ამოდ სასმენი იყო შენი შთაგონებული სიმღერები, მაგრამ უნდა გისაყვედურო: ხშირად არ იცი, რაზე ამღერო კაცი. ტექსტების საქმეში მოიკოჭლებ. ვერ გამიგია, რა დაგიშავა ევტერპამ, რაზე ემდურით ერთმანეთს?

(წვერს იფხანს, არ იცის. რა საჩუქარი უძღვნას ერატოს).

— შენ, მგონი, განცხადება გაქვს ბინის თაობაზე შემოტანილი. ამხანაგობაში ნუ შეხვალ. იქ მხოლოდ ფულის შეტანა ხდება ოპერატიულად, მერე ჩემი იმედით არიან. აჰა, ოროთახიანი ბინის ორდერი დიღმის მასივში, ეს გერჩივნოს. ცენტრისკენ ხომ იცი, რა ძნელია. ყველა ღმერთსა და ქალღმერთს ვაკეში და სპორტის სასახლესთან უნდა ბინა.

(ერატო უკმაყოფილოა, მაგრამ ორდერს მაინც ართმევს).

ზევსი: ახლა ერთი ის მიმღერე, წუხელ, აფროდიტას დღეობაზე, რომ ჩაარაკრაკე: „ჭირსა შიგან გამაგრება“, თუ როგორაა?

ერატო: სიყვარულის ბალადა!

ზევსი: აგაშენა ღმერთმა! კარგი რამ იყო, ერთიც გვიმღერე!

(ერატო მღერის).

...გვიან ღამემდე გრძელდებოდა ოლიმპოს მთაზე მუზების ტრადიციული გამოცდა-დაჯილდოება.

ლ. ჩანტლაძე





მეშახტეთა სახლის კვარცხლბეკზე გათვალისწინებული იყო ჯგუფური ქანდაკების დადგმა.
„ნიანგს“ წინადადება შემოაქვს, დაიდგას ჯგუფური ცოცხალი ქანდაკება, რადგან, ამ ადგილას, მაინც ყოველთვის დგანან ე. წ. „ბირჟავიკები“. ასეთ ცოცხალ ჯგუფურ ქანდაკებას სიიაფესთან ერთად, ის დადებითი მხარეც აქვს, რომ მილიციელის სასტვენის ხმაზე მაშინვე იშლება!

ნახ. გ. ფირცხალავასი



# რაისაბჭოში

(სამ-ოთხკვარტალიანი პიესა)

იანვარი

— თქვენ მე ჯერ კიდევ შარშან შემპირდით, პირველ კვარტალში აუცილებლად მოგცემთ ბინას მესამე-მეოთხე კვარტალშიო.

— მე თქვენ შეგპირდით, რომ პირველ კვარტალში აუცილებლად მოგცემდით ბინას მესამე-მეოთხე კვარტალში? მერედა, გამოიარეთ მესამე-მეოთხე კვარტალში!

ივლისი

— თქვენ შემპირდით, მესამე-მეოთხე კვარტალში მოგცემთ ბინას პირველ კვარტალშიო!

— კეთილი და პატიოსანი! მობრძანდით მეოთხე კვარტალში, მოგცემთ ბინას პირველ კვარტალში!

ნოემბერი

— მე თქვენ ჯერ კიდევ შარშან შემპირდით: პირველ კვარტალში აუცილებლად მოგცემთ ბინას მესამე-მეოთხე კვარტალშიო.

— მე თქვენ შეგპირდით, რომ პირველ კვარტალში აუცილებლად მოგცემდით ბინას მესამე ან მეოთხე კვარტალში? მერე და რატომ არ მითხარით ასე პირველ კვარტალში?

— მე თქვენ გითხარით!...

— თქვენ მე მითხარით, რომ მე შეგპირდით ბინას მოგცემდით პირველ კვარტალში მესამე-მეოთხე კვარტალში და არა მესამე-მეოთხე კვარტალში პირველ კვარტალში, ახლა კი მოგიწევთ გაისად მოსვლა. მობრძანდით და პირველ კვარტალში მიიღებთ ბინას მესამე-მეოთხე კვარტალში, გასაგებია?

— ???

გ. მეტრეველი.

## რაღა ეშველებოდათ...

**ზოგიერთ აბიტურიენტს:** განცხადების წერაშიც რომ ნიშანი იწერებოდეს.

**ზოგიერთ მშობელს:** კლასის დამრიგებელმა რომ მისი სამსახურის მისამართი გაიგოს.

**პურსაცხობ ქარხანას:** კლიენტმა რომ „შტუჩნი“ პურიც წონით მოითხოვოს.

**ტელევიზორის შემკეთებელთ:** გადამწვარი ნათურის ახლით შეცვლა რომ ყველამ ისწავლოს.

**ხილის დამამზადებელთ:** ყველა ხარისხის ხილს რომ ერთი ფასი დაადონ.

**მესაფლავეებს:** კრემაცია რომ მოდაში შემოვიდეს.

გ. ზარნაძე

ნახ. დ. ბაშელეიშვილისა



# ამას ჰქვია

გუშინ, ნიადვრის ქუჩის კუთხეში, ქვას ფეხი წამოდო და ასფალტზე დაეცა შუახნის ქალი გ. მ. დაზარალებულს წამოდგომაში დაეხმარნენ მოქალაქეები — დ. ჩქარაია, გ. ფაფუკია, ზ. ზაზაშვილი და კ. კუკურაშვილი. ამ უკანასკნელმა ქალი საავადმყოფომდეც კი მიაცილა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ამ ქალის შვილი ყოფილა.
ამას ჰქვია... „კარგი ჰქენი, ქვაზე დადეო..."

ორი დღის წინ, ჩელუსკინელების ხიდიდან, მტკვარში საეჭვოდ იჭცირებოდა ასე, 40-60 წლის მამაკაცი კ. ჩ. ვიდრე იგი მტკვარში გადახტომია საზარელ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მასთან მიიჭრნენ რესტორან „ნადკუროიდან" მომავალი ახალგაზრდები — ბ. ჭვიადაური და ხ. პურიაშვილი. მათ ენერგიულად აალიტეს მოქალაქე მოაჯირს და აშკარა სიკვდილს გადაარჩინეს.
ამას ჰქვია... „არამკითხე მოამბეო..."

გუშინწინ ტაქსის მძღოლმა დ. დალაქიშვილმა, რომელიც საათში 100 კილომეტრი სიჩქარით მიჰქროდა რუსთაველის პროსპექტზე, აშკარა სიკვდილს გადაარჩინა გადასასვლელზე უგულისყუროდ მომავალი მოსწავლე კ. ხ. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა და მხოლოდ მსუბუქად დაარტყა ბავშვს. ბავშვი ახლა თავს კარგად გრძნობს, მშვენივრად დაეუფლა ყავარჯნებს და, გაცდენილი გაკვეთილების ასანაზღაურებლად, გულმოდგინედ მეცადინეობს კერძოდ.
ამას ჰქვია... „ბავშვები ჩვენი ცხოვრების ყვავილებიაო..."

შეზარხოშებულმა მოქალაქე კ. რ-მ ა. წ. 18 იანვარს დაჰკარგა ჩანთა, რომელშიც იდო 1000 მანეთი (ახალი კურსით). ჩანთა იპოვნა მეეზოვე კალაჩიანმა და სათანადო ორგანოებს ჩააბარა. ფულის დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ თანხას არც ერთი კაპიკი არ აკლდა.
ამას ჰქვია... „ფული ხელის ჭუჭყიაო..."

ერთი კვირის წინ, პატარა ნუგზარი უმშობლებოდ მტკვრის პირას ჩაფიქრებული სეირნობდა. უცებ მას ფეხი დაუცდა და აბობოქრებულ მდინარეში ჩავარდა. იქვე მოსეირნე მოქალაქე რ. ჩინჩალეიშვილი წუთით დაიბნა, შემდეგ აზრი მოიკრიბა და ბავშვს ხელი გაუწოდა. ბავშვი გადარჩა. როდესაც მოქალაქე ჩინჩალეიშვილს ჰკითხეს, რატომ ჩაიდინე ეს გმირული საქციელი, შენთვის ხომ არავის დაუვალებიაო, მან მთრთხვალ უპასუხა: ერთხელ მეც ვიხრჩობოდი და გამოცდილი მაქვს ეგ გაჭირვებაო.
ამას ჰქვია... „მთა მთას შეხვდებაო..."

# დია წერილი მამას

(ფელეტონი)

უპირველესად ყოვლისა,
ჩემი სალამი მამიკოს,
ამ ბარათს რომ გწერ, ოჯახში
ცუდად არავინ გამიგოს.
რომ მაიძულეთ, მესწავლა
ვეტერინარულ განხრითა,
ახლა ხომ მიხვდით, ფერმაში,
ვერ გავძლებ სოფლის ნახირთან?
რა ვქნა, რომ თქვენი კადრი ვარ,
ახლა კი არა — ყოფილი,
დღეს ზოოპარკში ვმუშაობ,
აქაც მოვნახე პროფილი...
თქვენც კარგად იცით, ამ დარგში,
ერთ-ერთ მძლავრ კერად ვითვლებით,
აქ ცხვრებიცა გვყავს, თხებიც და,
ასე გასინჯეთ, ვირთხებიც.
რას არ შეხვდება აქ კაცი,
რა ცხოველებს და რა ფრთოსნებს,
მცოხნელებს, მღრღნელებს,
ჩლიქოსნებს,
ფაფაროსნებს თუ ჩანთოსნებს.
საასპარეზო დიდი მაქვს
და სარბიელიც აქვეა,
მეტი რომ არ ვთქვა, ეს საქმე,
მხოლოდ მამაცთა საქმეა.
ხუმრობა საქმე როდია,
ვეფხს უყურებდე თვალებში,
მაიმუნებთან ისე ვარ,
როგორც შინ, ჩემიანებში.
ყველასთან შეჩვეული ვარ,
(ეს უკვე ჩემი კურსია),
მხოლოდ აქლემი მაფურთხებს,
რა გაასწორებს კუზიანს.
ხარისხის დაცვას ვაპირებ.
თუ გულმა შეძლო გულობა,
თემაც კარგი მაქვს — „შიმპანზე
და მისი მაიმუნობა".
მოკლედ. დიდ გზაზე გავედი,
დიდ მოვლენებში ვიჭრები,
ჰო, მართლა, ფული მჭირდება,
მალარიჩს მთხოვენ ბიჭები.
ბედნიერი ხარ. არ შეხვდი
სიბერეს შეხუნებული,
„ერთი შვილ მაინც გამზარდე.
ვეფხებთან შეხუმრებული".

გრ. ჩიქვილაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



თბილისის სათამაშოების ფაბრიკაში გამოვლინდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელიც ათასგვარი მაქინაციებით ითვისებდა სახელმწიფო ქონებას.



...რომ თბილისში მალე სამი საბაგირო გზა იქნება, მეტროს პირველი რიგიც მწყობრში ჩადგა, აშენდა უამრავი სხვა დაწესებულება. მეშახტეთა სახლის კოშკურას კი ხარაჩოები ვერ მოხსნეს და ვერა. ალბათ იმიტომ, რომ იგი უკვე სამუზეუმო სიძველეს წარმოადგენს. ან იმიტომ, რომ თბილისის თითქმის ყოველი კუთხიდან ჩანს და აგერ ათიოდე წელი იქნება, რაც გვარცხვენს.

...რომ დიღმის მასივში მცხოვრებმა ი. მათიაშვილმა ტელეფონის დადგმის ახალი წესი შეიმუშავა. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ფეხებზე დაიკიდო კანონიერება, ჩათვალო რომ ცა ქუდად არ გყოფნის და დედამიწა ქალამნად. ეცე კარის მეზობლის — ნათაძეების ხაზს და რამდენიძე (სამჯერ მაინც უნდა სცადო) შეუპოვარი ცდის შემდეგ, ჩაუჭრა იგი, გადაიყვანო შენს ბინაში და თუ ვინმე „თავხედი“ გაბედავს და „შენს“ ნომერზე თავის კანონიერ მფლობელს იკითხავს, უპასუხო: ნათაძეებს ტელეფონი მოუხსნეს (ვინ?!) და აღარ გაბედოთ დარეკვაო.

..რომ ტყვარჩელიდან სოხუმამდე ყოველდღე დაფრინავდა შვეულმფრენი. მაგრამ ახლა, რატომღაც, იგი დრანდის აეროდრომამდე მიფრინავს. უწინ ორი რეისი იყო დღეში, ახლა კი ერთია. დრანდიდან სოხუმამდე 25 კილომეტრია. ახლა გაითვალისწინეთ ავტობუსების მოძრაობის ინტენსიურობა და, თუ გეჩქარებათ, გირჩევთ ფეხით ჩახვიდეთ ტყვარჩელიდან სოხუმში.

...რომ სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობაში მხოლოდ დადგენილებაში არსებობს ფეხბურთის მოედანი. ბიბლიოთეკაში მხოლოდ ბიბლიოთეკარი ეტევა და მისი წონაც განსაზღვრულია (36-45 კგ), თორემ შეიძლება შენობა დაინგრეს. კლუბი 20 წლის განმავლობაში პურის საწყობად არის გადაქცეული და კინოებს მარტო სიზმრად თუ ვნახულობთ. სატრაქტორო პარკში მანქანა-იარაღები უპატრონოდ ჰყრია და ყოველ წელს გვიხდება ახლის ყიდვა იმისათვის, რომ ჟანგვის პროცესზე დაკვირვება აწარმოოს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ.

...რომ ლენინის რაიონის სანავარდოსა და მირზაანის ქუჩებზე ხაგვის გამტანი მანქანა კვირაში ერთხელ დადის. და რადგან ქ. თბილისში ბუზი თითქმის მთლიანად გაწყვეტილია, ახლა ხალხი ესევა ამ მანქანას ბუზებივით და არის მუშტი-კრივი, წივილ-კივილი, ნაგავივით აჭრელებული სახეები.

...რომ სოფლებს — ეწერასა და ბარდუბანს, როგორც იქნა, ეღირსა ავტობუსი ეწერა-ბარდუბან-ქუთაისის მარშრუტზე. ჯერ ავტობუსი ყოველდღე დადიოდა, შემდეგ — ორ დღეში ერთხელ, მერე — კვირაში ერთხელ და ბოლოს გეგმის შეუსრულებლობის მომიზეზებით სულ გაჰქრა. ბოროტი ენები კი ამბობენ, თითქოს ამ მარშრუტზე ახლაც იწერებოდეს საგზურები. მაგრამ თვითონ ავტობუსები ისე არიან გათავხედებულები, რომ უფრო სარფიან მარშრუტებს ირჩევენ.

...რომ ბაგები ზედ ეკვრის თბილისს, თუმცა გარდაბნის რაიონს ეკუთვნის, რომლის ცენტრი ათეული კილომეტრით არის დაცილებული ქალაქიდან. გარდა ამისა, ბაგებში არ არის კანალიზაცია, კავშირგაბმულობა, გზა. შუქი ქარზეა დამოკიდებული, საკმარისია მტკვრის ხეობაში დაუბეროს სუსტმა — მოძლიერომდე ქარმა, რომ ბაგებში შუქი ქრება, სამაგიეროდ მის პირდაპირ, ვაკის სასაფლაო გაჩახჩახებულია, ალბათ იმიტომ, რომ საფლავებში განსაკუთრებით ბნელა. წყალი თუ გნებავთ, ისიც სასაფლაოზე მოიკითხეთ, იქ მოიკლავთ წყურვილს, ჩვენ კი, ჯერჯერობით, აქ გვხვდება სული უწყლობით.

...რომ თბილისში ფიზკულტურის ქუჩა სანახევროდ გააკეთეს. როცა საყვედური გამოვთქვით, ასე გვითხრეს: ესეც არ უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ფიზკულტურის ქუჩაზე მცხოვრებთ უფრო მეტი ვარჯიში გმართებთო. ახლა მგონი, გაკეთებულ გზაზეც ორმოების ამოჭრასა და დამატებითი გუბეების გაკეთებას აპირებენ.




რედაქტორი ნ. დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 3/III-1966 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 729 უე 02946 ტირაჟი 50000

# უტექსტო ხუმრობები

უტექსტო ხუმრობები

ნახ. ლ. სიხარულიძისა





ნახ. მ. აბაშიძისა



ნახ. ა. ელაძისა



ნახ. გ. ფირცხალავასი



ნახ. გ. ლომიძისა



ნახ. გ. ფირცხალავასი



უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
уტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები
უტექსტო ხუმრობები